



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტური პროვინული კომისია

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №19/3

2021 წლის 28 აპრილი

ქ. თბილისი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2006 წლის 13 დეკემბერს მიღებულ იქნა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ (შემდგომში - კონვენცია) და მისი ფაკულტატური ოქმი. კონვენცია ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს და იგი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს, ხოლო 2021 წლის 5 მარტს რატიფიცირებულ იქნა ასევე კონვენციის ფაკულტატური ოქმი.

კონვენციითა და ფაკულტატური ოქმით განსაზღვრული ვალდებულებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად მყარი გარანტიების შექმნა.

საქართველომ აღიარა რა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, იკისრა კონვენციის წევრი სახელმწიფოებისთვის გათვალისწინებული ვალდებულება – ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და გაძლიერების, ასევე შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამრღვევი პრაქტიკის აღმოფხვრის გზით.

კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და კონვენციის პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში - კანონი). კანონის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვა.

კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (შემდგომში - კომისია) აკისრებს კონკრეტულ ვალდებულებებს, მათ შორის, კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, თავისი მმართველობის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

ბ) უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თავის სისტემაში არსებული ყველა შესაბამისი სერვისის სრული ხელმისაწვდომობა, შესაბამის საჭიროებებზე

მორგებული, ადაპტირებული პროგრამებისა და მასალების (მათ შორის, აუდიოწიგნი, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი, სურდოთარგმანი, სუბტიტრი) შეთავაზების ჩათვლით;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ადაპტირებისა და უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ვადების მითითებით, უზრუნველყოს მისი შესრულების ზედამხედველობა;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას;

ე) უზრუნველყოს შესაბამისი კადრების მუდმივი გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს ამ კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და ინსტრუქციების შემუშავებაში და ხელი შეუწყოს მათ იმპლემენტაციას;

ზ) განახორციელოს ამ თავით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და დამტკიცებას სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესრულების ვადების მითითებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა“;

2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის ვებგვერდზე (www.gnerc.org) საჯაროდ გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება საჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), გადაწყვეტილების კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში;

4. კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გადაწყვეტილების კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org) საჯაროდ გამოქვეყნება;

5. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი





საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

2021

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას 2021 წლისთვის.

დოკუმენტის მიზანია გაერო-ს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციასა“ (შემდგომში - კონვენცია) და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე (შემდგომში - კანონი) დაყრდნობით, გამოკვეთოს პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელთა აღსრულებაც 2021 წელს უნდა განხორციელდეს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას.

საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები

შშმ პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის კომისიის სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) ეყრდნობა კონვენციას, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს.

2014 წელს საქართველომ განახორციელა კონვენციის რატიფიცირება, აღიარა შშმ პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და იკისრა რიგი ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ასევე - საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებულია თანასწორობის ძირითადი უფლება. აღნიშნული კონსტიტუციური დათქმიდან ასევე გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება, შექმნას განსაკუთრებულ პირობები შშმ პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-III დადგენილებით დამტკიცებული „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის“ ხაზს უსვამს შშმ პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდის საჭიროებას. ამისათვის დოკუმენტი მიზნად ისახავს შშმ პირების უფლებების დაცვის მიმართულებით ერთიანი, სისტემური და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პოლიტიკის დანერგვას. სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მსგავსი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უშუალოდ შშმ პირების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფას.

ეროვნულ დონეზე შშმ პირთა უფლებრივი გარანტიების შექმნისათვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია 2020 წელს კანონის მიღება, რომელიც ემსახურება შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებას, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნასა და საქართველოს კანონმდებლობაში კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვას. ამასთან, კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, კომისიასთან მიმართებით.

აღნიშნულის შესაბამისად, კომისიამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა შშმ პირთათვის სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

სიტუაციური ანალიზი

შშმ პირთათვის ფიზიკური მისაწვდომობა - ამ დროისთვის კომისიაში შექმნილია ყველა პირობა შშმ თანამშრომელთა სამუშაო გარემოს უსაფრთხოებისა და შესაბამისობის კუთხით.

კერძოდ, კომისიის შენობას გააჩნია შენობასთან მისასვლელი და შენობის შიგნით არსებული პანდუსი. გარდა ამისა, შენობაში ასევე მოწყობილია სანიტარული კვანძი.

მხედველობადაქვეითებულ/უსინათლო პირთათვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა - ამ ეტაპისთვის კომისიის რეგულაციებისა და კომუნალური მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღება მხედველობადაქვეითებულ/უსინათლო პირებს შეუძლიათ სხვადასხვა აპლიკაციების საშუალებით კომისიის ვებგვერდიდან, თუმცა, მხედველობადაქვეითებულ/უსინათლო პირთათვის ინფორმაციაზე სრულფასოვანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის მხოლოდ აღნიშნული მექანიზმები არ არის საკმარისი.

მიზნები და ამოცანები

მიზნები:

- შშმ (მხედველობადაქვეითებული/უსინათლო) პირთათვის კომისიაში და მომხმარებელთა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში არსებულ სერვისებსა თუ საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- შშმ პირთა უფლებების შესახებ კომისიაში დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლება.

ამოცანები:

- მხედველობადაქვეითებულ/უსინათლო პირებისთვის კომისიის და მომხმარებელთა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ვებგვერდების ადაპტირება.
- შშმ პირთა უფლებების შესახებ ტრენინგის ჩატარება კომისიაში დასაქმებული პირებისთვის.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამოქმედო გეგმა 2021 წლისთვის

ლოგიკური ჩარჩო

მიზანი 1.	შშმ (მხედველობა დაქვეითებული) პირთათვის კომისიისა და მომხმარებელთა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში არსებულ სერვისებსა თუ საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით კომისიის ვებგვერდის ადაპტირებისათვის სამუშაოების განხორციელება		
ამოცანა 1.1.	მხედველობა დაქვეითებული პირებისათვის კომისიის ვებგვერდის ადაპტირება		
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: გაიზრდება მხედველობა დაქვეითებულ პირთა ჩართულობა და ინფორმირებულობა	დაფინანსების წყარო	
		კომისიის ბიუჯეტი	დონორი
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: კომისიის ვებგვერდი არ არის ადაპტირებული, ინფორმაციის მიღება მხოლოდ სპეციალური აპლიკაციის საშუალებით არის შესაძლებელი	ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი: კომისიის ვებგვერდი ადაპტირებულია, შშმ პირების მიერ შესაძლებელია მისი მეშვეობით ინფორმაციის მიღება	
მიზანი 2.	შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება კომისიის თანამშრომლებში		
ამოცანა 2.1	საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ შშმ პირთა უფლებების შესახებ ტრენინგის შეთავაზება		
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი კომისიის აპარატის სულ მცირე, 30 თანამშრომელი მიიღებს მეტ ცოდნას შშმ პირთა უფლებების შესახებ	დაფინანსების წყარო	
		კომისიის ბიუჯეტი	დონორი
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: კომისიის აპარატის თანამშრომელთა ინფორმირებულობა შშმ პირთა უფლებების შესახებ არ არის საკმარისი	ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი ტრენინგები ჩატარებულია, კომისიის აპარატის თანამშრომელთა ცნობიერება შშმ პირთა უფლებების დაცვის თაობაზე ამაღლებულია	

მონიტორინგი და ანგარიშგება

აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტები აისახება ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში 2021-2023 წლებისთვის, რომლის აღსრულების კოორდინაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო (სამსახური) ახორციელებს.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის აღსრულების შესახებ ინფორმაცია აისახება საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, რომელსაც საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებათა უწყებათშორისი საბჭოს გავლით, წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.